DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

სარჩევი

დაგეგმილი ღონისძიებები	2
ჩატარებული ღონისძიებები	4
წევრთა სიახლეები	7
წევრთა შეთავაზებები	9

თქვენი საიმედო პარტნიორი

თვალყური ადევნეთ ჩვენს სოციალურ ქსელს და შემოგვიერთდით ფეისბუქსა და ლინკდინზე!

ოფიციალური წარმომადგენლობა

messe frankfurt

SES Senior Experten Service DER WELT EXPERTEN DIENST

FRUIT LOGISTICA

Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

Messe Frankfurt und Fruit Logistica
ვატო კასრაძე
vato.kasradze@dwv.ge

თანამშრომლობა

GTAI GERMANY TRADE & INVEST

DIHK Deutscher Industrie- und Handelskammertag

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge

HiPP
Das Beste aus der Natur.
Das Beste für die Natur.

დაგეგმილი ღონისძიებები

წევრთა გენერალური ასამბლეა 2023

ძვირფასო DWV-ს წევრებო,

გეპატიჟებით გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრთა გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც გაიმართება ოთხშაბათს, 2023 წლის 5 აპრილს, 16:00 საათზე, სასტუმროში "პულმან თბილისი აქსის თაუერსი".

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!

DWV - Get Together

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

ოთხშაბათს, 19 აპრილს, 18:00 საათიდან გიწვევთ DWV-ს მორიგ “Get Together” ღონისძიებაზე.

მისამართი: მოგვიანებით გახდება ცნობილი.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!
თქვენი DWV.

DWV-ტრენინგი

DWV და შვეიცარიული ფონდი BPN Georgia გიწვევთ 3 დღიან ჰიბრიდულ სემინარზე: **“დროის მენეჯმენტი“.**

სამუშაო ენა: გერმანული, ქართული ქრონოლოგიური თარგმანით.
ფორმა: თეორიული ელემენტები, პრაქტიკული ცოდნის გაზიარება, ქართულ-შვეიცარიული მაგალითებით გაჯერებული სავარჯიშოები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, ინფორმაციის გაცვლა.
ადგილი: აფაქიძის ქ. #5 (სპორტის სასახლის უკან, ტიფლის ბიზნეს ცენტრი, მე-4 სართული). შესაძლებელია ონლაინ დასწრებაც.
ღირებულება: 100 ლარი. გათვალისწინებულია ყავის შესვენება.
რეგისტრაციისთვის, 2023 წლის 28 აპრილის ჩათვლით შეავსეთ სარეგისტრაციო ფორმა.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-ტრენინგი

DWV და C-team Management Consulting გიწვევთ ერთობლივ ტრენინგზე:

KPI- ციფრებით მართვადი წარმატება!
როგორ ვაქციოთ ორგანიზაციის მიზნები თანამშრომლების პირად მიზნებად?

როდის არის თანამშრომლის მართვა ეფექტიანი? მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში ეფექტიანი მართვის სისტემებია დანერგილი. გამართულ ორგანიზაციულ სტრუქტურაში კარგი მენეჯერის მთავარ მიზანს არა თითოეული თანამშრომლის "მართვა", არამედ ეფექტიანი, კომპანიაზე მორგებული მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება და დანერგვა წარმოადგენს. ამდაგვარი მართვის და კონტროლის ინსტრუმენტია დაბალანსებული ინდიკატორების სისტემა (Balanced Scorecared). იგი საშუალებას იძლევა, ასობით თანამშრომლის საქმიანობა გახდეს გაზომვადი და ორგანიზაციის მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული.

სამიზნე აუდიტორია: ორგანიზაციის ხელმძღვანელები (CEO/General Director), ორგანიზაციისა და სტრატეგიის განვითარების მენეჯერები, ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელები, დეპარტამენტების/განყოფილების ხელმძღვანელები.

ტრენინგს გაუძღვებიან: დავით ქარდავა, C-team management consulting-ის ხელმძღვანელი, და მარიამ ცნობილაძე, C-Team-ის პროექტის მენეჯერი.

ტრენინგზე რეგისტრაციის მსურველებს გთხოვთ, 2023 წლის 21 აპრილის ჩათვლით შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-ტრენინგი

2023 წლის 2 მარტს სასტუმრო პულმან თბილისი აქსის თაუერსში გაიმართა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანებისა (DWV) და აუდიტორული და ბიზნეს-საკონსულტაციო კომპანია ***Grant Thornton***-ის ერთობლივი ტრენინგი თემაზე: **„მოგების გადასახადის პრაქტიკული კურსი“.**

ტრენინგს უძღვებოდნენ: ნათია ჩაგანავა - Grant Thornton-ის საგადასახადო განყოფილების მენეჯერი; ქეთევან ღამბაშიძე - Grant Thornton-ის საგადასახადო განყოფილების ხელმძღვანელი.

სამიზნე აუდიტორია: ბუღალტრები, აუდიტორები, ფინანსური მენე-ჯერები და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი.

ტრენინგის მიზანი: ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეებმა მიიღეს თეორიულ ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება შემდეგი მიმართულებებით:

• მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონური“ მოდელის დეტალური განხილვა;
• მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზის სწორად განსაზღვრა;
• სიტუაციური სახელმძღვანელოების და ქეისების გაცნობა;
• მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის სწორად შედგენა.

ტრენინგს ესწრებოდნენ DWV-ს წევრი და არაწევრი კომპანიების წარმომადგენლები, მათ შორის: კს ვიორვაგ ფარმა ჯი ემ ბი ეიჩ და კო.კგ-ს წარმომადგენლობა საქართველოში, შპს ნუტრიმაქსი, შპს მეჯერელ საქართველო და სხვა.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV - Get Together

ოთხშაბათს, 15 მარტს, ჩვენი მორიგი ტრადიციული “Get Together” ღონისძიება გაიმართა **რესტორანში "TITA", სასტუმრო Golden Tulip Design Tbilisi.**

DWV-GET ერთობლივი ღონისძიება

2023 წლის 16 მარტს, DWV-ს ორგანიზებით, სასტუმროში "პულმან თბილისი აქსის თაუერსი" ჩატარდა **გერმანიის ეკონომიკური გუნდის (GET) მოხსენება**, რომელიც ეხებოდა რუსეთიდან და ბელარუსიდან საქართველოში მოსახლეობის მიგრაციას, კვლევის შედეგებსა და გავლენას ეკონომიკაზე.

მოხსენება ინგლისურ ენაზე ჩატარდა. მას მონაწილეთა მხრიდან აქტიურობა და საინტერესო დისკუსია მოჰყვა.

დასასრულს, სტუმრები ყავის შესვენებაზე დავპატიჟეთ, სადაც მათ კვლავ ჰქონდათ იდეების გაცვლის საშუალება.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

2023 წლის 17 მარტს სასტუმროში "ჰოლიდეი ინნ თბილისი", გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი: **„სურსათის უვნებლობა - ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები".**

ტრენინგის ფარგლებში განხილული იქნა კარგი წარმოებისა და ჰიგიენის პრაქტიკა (GMP&GHP), სურსათის უვნებლობის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, ტემპერატურული რეჟიმები, პერსონალის პირადი ჰიგიენა და ქცევის წესები, სურსათის საფრთხეები და საფთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა HACCP, საერთაშორისო სტანდარტები.

ტრენინგს გაუძღვა მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სურსათის უვნებლობის ექსპერტი, **ქ-ნი ეკატერინე ბურკაძე.**

ტრენინგს ესწრებოდნენ DWV-ს წევრი და არაწევრი კომპანიების წარმომადგენლები, მათ შორის: სს სმარტ რითეილი, შპს მარანას ბაღი, შპს ციტო 2, შპს ნატურაფარმი, შპს კლინტექ, შპს ალფა პეტი, შპს აგროკლუბ ჯორჯოს.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

ღვინაძე & პარტნიორები აძლიერებს თავის რიგებს უფროსი მრჩევლითა და იურიდიული დირექტორით

ღვინაძე & პარტნიორები კვლავ სიხარულით ეგებება კომპანიაში **ლესლი როჯერსს** უფროსი მრჩევლის პოზიციაზე. ლესლი არის გამოცდილი, ნიუ-იორკის კვალიფიცირებული საერთაშორისო კორპორატიული და ფინანსური იურისტი, რომელიც თბილისში 2004 წლიდან მოღვაწეობს. მის წინამორბედ კომპანია DLA Piper Gvinadze & Partners-ში გაწევრიანებამდე, სადაც იგი მუშაობდა შემომავალ ინვესტიციებსა და ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ლესლი ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას აშშ-ს ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა: Arnold & Porter LLP და Coudert Brothers LLP ნიუ იორკში. ლესლი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კონსულტანტად ენერგეტიკის პოლიტიკის, კლიმატის ფინანსების, აგროფინანსების, მარეგულირებელი რეფორმების და ინვესტიციების და ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხებში, რომლებიც გავლენას ახდენს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებზე. ის მუშაობდა, ასევე, ბუზ ალენ ჰამილტონის კონსულტანტად თბილისში და საქართველოს საელჩოში იაპონიაში, და იყო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მრჩეველთა საბჭოს წევრი. ლესლის აქვს J.D. ხარისხი სტენფორდის სამართლის სკოლაში, მაგისტრის ხარისხი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში და B.A. ხარისხი Vassar College-ში (Poughkeepsie, NY, აშშ).

სიხარულით გაცნობებთ, ასევე, **თორნიკე ამილახვარის** დაწინაურებას კომპანიის იურიდიული დირექტორის პოზიციაზე. კომპანიაში მუშაობის რვა წლის განმავლობაში, თორნიკემ დაამტკიცა, რომ ის არის იურიდიული გუნდის ღირსეული წევრი და წარმატებული იურისტი, რომელიც სანდოა კომპანიის ხარისხის მკაცრი სტანდარტების დაცვაში, როდესაც კონსულტაციას უწევს და წარმოადგენს ფირმის გამორჩეულ კლიენტებს. თორნიკეს პრაქტიკა მოიცავს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს და, ასევე, თეთრი საყელოს დანაშაულების ფართო სფეროს. გარდა მისი ფართო კორპორაციული გამოცდილებისა, თორნიკე არის დავების გადაწყვეტის გამოცდილი იურისტი, რომელიც ფირმის წარმატებას უწყობს ხელს როგორც ქართულ სასამართლოებში, ისე საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო, მუნიციპალურ და სამართალდამცავ უწყებაში. ფირმაში გაწევრიანებამდე, თორნიკემ სტაჟირება გაიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში და ქართულ მსხვილ იურიდიულ ფირმაში; მუშაობდა, ასევე, შიდა მრჩევლად სს Healthy Water-ში, საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ბუნებრივი მინერალური წყლის მოპოვებისა და ჩამოსხმის კომპანიაში. თორნიკეს არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

”ფრთხილი და კონსერვატიული - როგორც ჩვენ ისტორიულად ვართ დაწინაურებებთან დაკავშირებით, თორნიკეს კარიერული გზა ასოცირებულიდან უფროს იურისტამდე და ახლა უკვე იურიდიულ დირექტორამდე, არის ჩვენი დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომისა და ნათელი და შრომისმოყვარე ადვოკატის პოტენციალის დასტური. ამის გარდა, როდესაც ასეთი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი იურიდიული კარიერის შემდეგ, ჩვენთან ბრუნდება დიდი ხნის ისეთი კურსდამთავრებული, როგორიცაა ლესლი, რა შეიძლება იყოს უკეთესი მაგალითი იმისა, რომ ჩვენ წლების განმავლობაში ვახერხებთ, განვავითაროთ ჩვენი პრაქტიკის უწყვეტობა და გრძელვადიანი მეგობრობის კორპორატიული კულტურა, - აღნიშნა მმართველმა პარტნიორმა, ნიკა ღვინაძემ.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

„გრანთ თორნთონ საქართველოს“ ღია კონფერენცია - საგადასახადო დავების აქტუალური საკითხები და მათი ეფექტიანი წარმოება

„გრანთ თორნთონ საქართველომ“ 17 მარტს საგადასახადო დავების აქტუალურ საკითხებზე და მათ ეფექტიან წარმოებაზე ღია კონფერენცია გამართა. კონფერენციის მიზანი იყო კომპანიის არსებული ექსპერტული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება საგადასახადო დავების მიმართულებით, ყველა იმ პირისთვის/კომპანიისთვის, რომელიც დაინტერესებულია საგადასახადო სამართლით, მისი საქმიანობით დაკავშირებულია რთულ საგადასახადო აქტივობებთან ან აწარმოებს საგადასახადო დავას.

ღონისძიების სპიკერები იყვნენ:

ქეთევან ღამბაშიძე - გრანთ თორნთონის საგადასახადო მიმართულების ხელმძღვანელი, MBA, PhD(c) სერტიფიცირებული აუდიტორი, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ რეგისტრირებული აუდიტორი, 17 წლიანი გამოცდილებით საგადასახადო დაბეგვრაში, ბუღალტერიაში, საგადასახადო დავებში, აუდიტში, მენეჯმენტ კონსალტინგში, ფინანსურ მენეჯმენტში და კონტროლში. „გრანთ თორნთონ აკადემიის“ ტრენერი;

ნათია ჩაგანავა - გრანთ თორნთონის საგადასახადო მიმართულების მენეჯერი, MBA, საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორი, 12 წლიანი გამოცდილებით საგადასახადო დაბეგვრაში და საგადასახადო დავებში, მათ შორის, 7 წლიანი გამოცდილებით შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში. „გრანთ თორნთონ აკადემიის“ ტრენერი;

დავით ღავთაძე - გრანთ თორნთონის უფროსი საგადასახადო კონსულტანტი, MBA, საგადასახადო სფეროში მუშაობის 7 წლიანი და საგადასახადო ორგანოებში მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება, რამაც მას მისცა ცოდნა სხვადასხვა ტიპის ბიზნეს სფეროს დაბეგვრასთან დაკავშირებული საგადასახადო მიდგომების შესახებ. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი და „გრანთ თორნთონის აკადემიის“ ტრენერი.

გრანთ თორნთონი გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრ კომპანიებს სთავაზობს 20%-იან ფასდაკლებას დავების პროცესში სრულ მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს:

•თქვენი კომპანიის წარმოდგენას საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაში;

•თქვენი ინტერესების დაცვას საგადასახადო ორგანოების წინაშე.

დეტალური შეთავაზების მისაღებად დაგვიკავშირდით:

ელ-ფოსტა: info@ge.gt.com

ტელეფონი: +995 (0) 32 2 60 44 06

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

წევრთა შეთავაზებები

საკონსულტაციო კომპანია GEC Consulting, რომელიც უზრუნველყოფს სისტემურ ბიზნეს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ზომის ორგანიზაციებისა და სტარტაპებისთვის, კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით, საქართველოს ბანკის ბიზნეს მომხმარებლებს გთავაზობთ უფასო კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებით:

- ფინანსური მართვა და ხარჯების ოპტიმიზაცია
- სტრატეგიული გეგმა და ბიზნესმოდელი
- ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია
- ბიზნეს / საოპერაციო პროცესების ანალიზი და ოპტიმიზაცია
- ადამიანური რესურსების (კადრების) მართვის გაუმჯობესება
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ანალიზი (გაციფრულება)
- ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობების ანალიზი
- ბიზნეს რისკების ანალიზი

გარდა ამისა, GEC Consulting გთავაზობთ ექსკლუზიურ პირობებს (ფასდაკლებას, პრეფერენციულ ფასს, ბონუს მომსახურებასა და საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების 50%-ის დაფინანსების მოზიდვას EBRD-დან) შემდეგ სერვისებზე:

- სტრატეგია და ბიზნეს მოდელის ანალიზი
- ხარჯების ოპტიმიზაცია
- ბიზნეს პროცესების აღწერა და ოპტიმიზაცია
- პირადი ბიზნეს კონსულტანტის მომსახურება
- ორგანიზაციული სტრუქტურა
- ფინანსური მენეჯმენტის აუთსორსინგი

აღსანიშნავია, რომ GEC Consulting საქართველოში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში ოპერირებს. 2010 წლიდან კომპანიამ წარმატებით განახორციელა 200-ზე მეტი პროექტი სხვადასხვა ინდუსტრიის მცირე, საშუალო და დიდი ზომის ორგანიზაციებთან. GEC-ის მრავალპროფილური და დივერსიფიცირებული ცოდნისა და გამოცდილების მქონე გუნდს არაერთ ქვეყანაში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ბრიტანეთი, ირლანდია, შვეიცარია, ჰოლანდია) აქვს მიღებული გამოცდილება და განათლება.

შეთავაზების დეტალები იხილეთ ბმულზე.
გაიგეთ მეტი კომპანიის შესახებ ვებ-გვერდზე: **http://gec-consulting.com/**

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

წევრთა შეთავაზებები

გრანთ თორნთონ აკადემია გთავაზობთ HR მენეჯმენტის კომპლექსურ კურსს: ადამიანური რესურსების მართვა, შრომის სამართალი და MS Excel HR-ებისთვის ერთ კურსში

კურსის გავლის შედეგად თქვენ:

- გაიღრმავებთ ცოდნას ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, შეიძენთ და გაიუმჯობესებთ თანამრომელთა ეფექტურად მართვისთვის საჭირო კომპეტენციებს;
- გაეცნობით ტალანტების შერჩევის, HR სტრატეგიის, თანამშრომელთა მოტივირების, შეფასების და მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ინსტრუმენტებს;
- შეისწავლით შრომის სამართლის ბაზისურ, აქტუალურ საკითხებს;
- შეისწავლით სპეციალურად HR მენეჯერების საჭიროებებზე მორგებულ MS Excel-ის ფუნქციონალს.

კურსი განკუთვნილია: HR მართვის სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის, HR სპეციალისტებისთვის.

კურსს გაუძღვებიან: სალომე ზირაქაძე - ადამიანური რესურსების მართვა, გრანთ თორნთონ აკადემიის მოწვეული ტრენერი; ზურაბ ახალაძე - შრომის სამართალი, გრანთ თორნთონ აკადემიის ტრენერი, გრანთ თორნთონ საქართველოს იურიდიული მიმართულების უფროსი იურისტი; მზია გიორგაძე - MS Excel HR-ებისთვის, გრანთ თორნთონ საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გრანთ თორნთონ აკადემიის ტრენერი.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ **სერტიფიკატები**.
კურსის დეტალური აღწერა: bit.ly/3Jk1bG5
სარეგისტრაციო ბმული: bit.ly/408b0xH
თარიღი და დრო: 5 აპრილი - 24 მაისი, ოთხშაბათი-პარასკევი, 20:00-22:00 სთ.
ხანგრძლივობა: 14 შეხვედრა, 28 საათი.
მისამართი: გრანთ თორნთონ აკადემია, ქ. წამებულის ქუჩა N54.
კურსის ღირებულება: 800 ლარი, DWV-ს წევრებისთვის - 650 ლარი.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ანა ნაჭყებია, გრანთ თორნთონ აკადემიის მენეჯერი, 577500295.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

სპეციალური შეთავაზება რუმს თბილისისგან



DWV მკითხველებისთვის

სასტუმროში Rooms Tbilisi 20%-იანი ფასდაკლება მოქმედებს

2023 წლის ბოლომდე

BOOK NOW

ROOMS HOTELS™

Rustaveli Ave. 24, 0108 Tbilisi; Tel.: + 995322 220567; info@dwv.ge

GOLDEN TULIP

PLAYTIME. ANYTIME

DESIGN TBILISI

SPECIAL SPRING CORPORATE OFFER



Our hotel features a total of 77 rooms that are outfitted in a chic, contemporary design to meet both business and leisure travelers' needs. Breathtaking views of the River Mtkvari are the perfect way to start the day or to admire before bed. Each room is hand-painted by local artists, who in their works reveal unique stories about Georgia. The rooms are equipped with a wide range of amenities to enjoy.

- 60/70 USD (single/double)
- Including breakfast
- Including VAT 18%
- Free upgrade to Superior class room
- Free early check-in upon availability (from 12:00 noon)
- Free late check-out upon availability (till 06:00 PM).

37 Ketevan Tsamebuli Avenue, Tbilisi 0103
+995 (322) 157 157
info@goldentulipdesigntbilisi.com
design-tbilisi.goldentulip.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

GOLDEN TULIP

PLAYTIME. ANYTIME

DESIGN TBILISI

Our property features two conference rooms outfitted with modern audio-visual technology. We can guarantee your event will be a great success, be it a conference, seminar, training, networking, brainstorming or closing a deal.

CORPORATE PACKAGE

- Full Day - 35 USD (2 coffee break; 1 Lunch)
- Half Day - 30 USD (2 coffee break; 1 Lunch)
- Conference Room - complimentary
- Technical equipment - for free.

*THE PROMOTION IS VALID FOR MORE THAN 15 PEOPLE

37 Ketevan Tsamebuli Avenue, Tbilisi 0103
+995 (322) 157 157
info@goldentulipdesigntbilisi.com
design-tbilisi.goldentulip.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge